უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

საქმიანობის ბიულეტენი

მარტი, 2023

თემატიკა:

- საგაზაფხულო სესიის გახსნა
- მინისტრის საათი
- კომიტეტის სხდომა
- ბიუროს სხდომა
- ახალგაზრდები უმაღლეს საბჭოში
- პეტიცია
- საერთაშორისო ურთიერთობები
- სხვა აქტივობები

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

საგაზაფხულო სესია ბიუროს სხდომით გაიხსნა

ბიუროს სხდომა
7 მარტი, 2023 წელი

აჭარის უმაღლეს საბჭოში საგაზაფხულო სესია ბიუროს სხდომით გაიხსნა.

ბიუროს გადაწყვეტილებით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონებსა და აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატანი ცვლილებების შესახებ მომზადებული პროექტები კომიტეტებში ჩაეშვა განსახილველად.

პირველი ცვლილება უკავშირდება 2032 წლის ჩათვლით ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის პარტიული სიის წარდგენის ზოგიერთ დროებით წესს, რომელიც გენდერულ კვოტირებას განსაზღვრავს. ხოლო ნორმატიული აქტების შესახებ კანონის ცვლილება საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტებისთვის სავალდებულო წესით გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების აღწერას ისახავს მიზნად.

რაც შეეხება რეგლამენტის პროექტს, ცვლილება უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს თავიანთი პოზიციების, მოსაზრებების, წინადადებების გამოხატვის დამატებით სამართლებრივ შესაძლებლობებს აძლევს.

აჭარის უმაღლეს საბჭოს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, კვლავ 100%-იანი მაჩვენებელი აქვს

10 მარტი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭო, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, 100%-იანი მაჩვენებლით, ამჯერადაც საუკეთესოთა შორისაა.

	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების ჩაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	19	19	0	0	0	19	100%
2	აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო	16	16	0	0	0	16	100%
3	აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	19	19	0	0	0	0	99%
4	აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	18	17	1	0	0	0	96.22%
5	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	16	11	5	0	0	16	84.38%
6	აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო	13	6	7	0	0	0	72.08%
7	აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	17	8	7	0	2	15	66.76%

საქართველოს მასშტაბით, ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებების გამოსავლენად დადგენილი კრიტერიუმები, უმაღლესმა საბჭომ სრულად დააკმაყოფილა. კვლევის შედეგები საჯარო ინფორმაციის რაოდენობით, სრულყოფილი და ვადების დაცვით გაცემული პასუხებით განისაზღვრა.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგი, 2022 წელს, საქართველოს მასშტაბით, 374 საჯარო დაწესებულებაში განახორციელა და 11 საუკეთესო გამოავლინა.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები

	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების ჩაოდენობა	სრულყოფილი	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	საჯარო სამსახურის ბიურო	21	21	21	100%
2	სახალხო დამცველის აპარატი	19	19	19	100%
3	აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	18	18	18	100%
4	აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო	16	16	16	100%
5	სგანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	15	15	15	100%
6	საარჩევნო სისტემების განვითარების, ხეფორმების და სწავლების ცენტრი	14	14	14	100%
7	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	13	13	13	100%
8	ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	13	13	13	100%
9	ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო	11	11	11	100%
10	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	21	21	4	99,2%
11	აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	19	19	0	99%

2022 წლის კვლევის შედეგები IDFI-იმ 10 მარტს გამოაქვეყნა.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

14 მარტი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე უძღვებოდა, 5 საკითხი განიხილეს.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, კომიტეტმა, მოკვლევის მიზნით, მხარი დაუჭირა წარმოდგენილი პეტიციების შესაბამის სამინისტროებსა და აჭარის მუნიციპალიტეტებში გადაგზავნას.

სხდომაზე განიხილეს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის 2023 წლის საქმიანობის სამოქმედო გეგმა, ასევე კომიტეტის (01.09.2021-31.12.2022წწ) საქმიანობის ანგარიში. ორივე საკითხი კომიტეტის თავმჯდომარემ - ილია ვერძაძემ წარმოადგინა. კანონმდებლებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხებზე რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გაგრძელებას.

პეტიციები: “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული საზაფხულო იალაღებისთვის დამატებითი სასწრაფო-სამედიცინო მანქანების შეძენისა და ზაფხულობით იალაღებზე მცხოვრები მოსახლეობის პერიოდული უფასო სამედიცინო კვლევების ჩატარების შესახებ“ და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში არაფორმალური განათლების მულტიფუნქციური ცენტრების ამოქმედებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამატებითი სოციალური სივრცეების შექმნის შესახებ“, ავტორებმა - ნესტან ანანიძემ და გვანცა ვარშანიძემ წარმოადგინეს.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

14 მარტი, 2023 წელი

კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“, შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულია პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისათვის. შესაბამისი გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე უძღვებოდა.

კომიტეტის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმა, ასევე

განიხილეს ამავე კომიტეტის საქმიანობის ანგარიში (01.09.2021- 31.12.2022წწ). კანონმდებლებმა ორივე საკითხზე რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გაგრძელებას მხარი დაუჭირეს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული სამივე საკითხი, სხდომაზე, ამავე კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარმოადგინა.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი

14 მარტი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე 2023 წლის სამოქმედო გეგმა დაამტკიცეს. საკითხი ამავე კომიტეტის თავმჯდომარემ - დავით ბაციკაძემ წარმოადგინა. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მიმართულებასა და სიახლეებზე, რომლებიც ასახულია აღნიშნულ დოკუმენტში.

სხდომაზე, ასევე მოისმინეს და მხარი დაუჭირეს, კომიტეტის მიერ, 2022 წლის საგაზაფხულო სესიიდან 2023 წლის საგაზაფხულო სესიებს შორის პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის უახლოეს პლენარულ სხდომაზე გატანას.

მანამდე, საკითხი, როგორც დავით ბაციკაძემ აღნიშნა, უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარედგინება

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომა

14 მარტი, 2023 წელი

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე უძღვებოდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული 4 საკითხი განიხილეს.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების პროექტი უმაღლესი საბჭოს წევრმა - ვლადიმერ მგალობლიშვილმა წარმოადგინა. მომხსენებლის განმარტებით, კანონის პროექტი გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განიხილება და მისი მიზანი „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ განხორციელებულ ცვლილებასთან შესაბამისობაში მოყვანაა.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონის პროექტთან დაკავშირებით რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების გაგრძელებას.

სხდომაზე დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმა, ასევე განიხილეს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც შესაბამისი პროცედურების შემდგომ პლენარულ სხდომაზე განიხილება. ორივე საკითხი კომიტეტის თავმჯდომარემ - ცოტნე ანანიძემ წარმოადგინა.

ბიუროს სხდომა

15 მარტი, 2023 წელი

უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა, 16 მარტის პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტი განისაზღვრა.

სხდომაზე, „მინისტრის საათის“ ფორმატში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს - მაია ხაჯიშვილს მოუსმენენ. სამინისტროს საქმიანობის შესახებ მოხსენების წარდგენის გარდა, მინისტრი კანონმდებელთა კითხვებს უპასუხებს.



აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომა

15 მარტი, 2023 წელი

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე - ფრიდონ ფუტკარაძე უძღვებოდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული სამი საკითხი განიხილეს.

კომიტეტის წევრებმა დაამტკიცეს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა, ასევე მხარი დაუჭირეს 2021 წლის პირველი სექტემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშთან დაკავშირებით რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების გაგრძელებას.

სხდომაზე განიხილეს და ცნობად მიიღეს საქართველოს პარლამენტიდან შემოსული საკანონმდებლო ინიციატივები. ყველა საკითხი კომიტეტის თავმჯდომარემ - ფრიდონ ფუტკარაძემ წარმოადგინა.

პლენარული სხდომა

16 მარტი, 2023 წელი

უმაღლესი საბჭოს მორიგ პლენარულ სხდომაზე, „მინისტრის საათის“ ფორმატში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს მოუსმინეს - მაია ხაჯიშვილი სამინისტროს საქმიანობის შესახებ ვრცელი მოხსენებით წარსდგა.

სხდომაზე, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა, მინისტრმა უწყების მიერ 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ასევე მიმდინარე წლის გეგმებისა და აქტივობების შესახებ ისაუბრა. მომხსენებლის განცხადებით, 2022 წელს სამინისტროს ბიუჯეტი 82 413 200 ლარი იყო, 2023 წელს კი 23 მილიონით გაიზარდა და 105 მილიონ ლარს გადააჭარბა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, განათლების ხუთივე საფეხურზე რეგიონში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, როგორც ინფრასტრუქტურის შექმნის, ასევე კვალიფიციური კადრების მომზადების კუთხით. საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა 2022 წელს და კიდევ უფრო მასშტაბური პროექტები დაიგეგმა 2023 წლისთვის.

მაია ხაჯიშვილის განცხადებით, 2022 წელს სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით 300-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო საერთაშორისო გამოცდილება. წელს მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

მოხსენების შემდეგ, მინისტრმა უპასუხა უმაღლესი საბჭოს მიერ რეგლამენტით დადგენილ ვადაში მისთვის წინასწარ გადაგზავნილ და სხდომათა დარბაზში დასმულ კითხვებს, მოისმინა დეპუტატების მოსაზრებები. მოხსენება კანონმდებლებმა ცნობად მიიღეს.

ოპოზიციური ფრაქციიდან სხდომას მხოლოდ მედეა ვასაძე ესწრებოდა.

სხდომაზე იმყოფებოდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც პლენარულ სხდომაზე დასწრება ონლაინპლატფორმა - chaerte.sca.ge-ის მეშვეობით მოითხოვეს.

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა

21 მარტი, 2023 წელი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, „რეგიონების ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ“ საკანონმდებლო წინადადება განიხილეს. წინადადება, რომელიც მისმა ავტორმა - პაატა ურიადმყოფელმა წარმოადგინა, კომიტეტის წევრებმა ცნობად მიიღეს.

სხდომაზე დაამტკიცეს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმა და ცნობად მიიღეს ინფორმაცია აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლების უმაღლესი საბჭოს ფრაქციების მიერ 2022 წლის საშემოდგომო სესიაზე გამოყენების შესახებ.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილება და დღის წესრიგის სხვა საკითხები, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა. კანონის პროექტი კომიტეტმა პლენარული სხდომისთვის მომზადებულად მიიჩნია. ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონსა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტებთან დაკავშირებითაც. სამივე პროექტი გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განიხილება.

სამუშაო შეხვედრა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა საჭიროებების შესახებ

27 მარტი, 2023 წელი

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე და ამავე კომიტეტის აპარატის უფროსი ლეილა ღოღობერიძე “ირმა ხვიჩიას რეაბილიტაციის ცენტრის“ კლინიკურ დირექტორს - ირმა ხვიჩიას, „მედიქლაბჯორჯიას“ წარმომადგენლებს - „საქართველოს მყიფე x სინდრომის ცენტრის“ კოორდინატორს ნაზი ტაბატაძესა და „ნეიროგენეტიკისა და მეტაბოლიზმის ცენტრის“ დირექტორს თამარ გაჩეჩილაძეს შეხვდნენ.

ილია ვერძაძის განცხადებით, ამ მიმართულებით არსებული პროგრამები და სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა უმნიშვნელოვანესია, ისევე როგორც მედიკოსების მხრიდან ყოველდღიური პრაქტიკით გამოვლენილი გამოწვევები, რომელთა გადაჭრაშიც უმაღლესი საბჭოს დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ სტუმრებს თანადგომა და მხარდაჭერა აღუთქვა.

შეხვედრაზე, ყურადღება ასევე გამახვილდა ბავშვებში ეპილეფსიის დიაგნოსტირებისა და მკურნალობის მართვის საკითხებზე.

სამუშაო შეხვედრა აჭარაში აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა საჭიროებებს, სკრინინგს, დიაგნოსტირებას, მკურნალობას, მონიტორინგსა და მკურნალობის ახალ მეთოდებზე ხელმისაწვდომობის საკითხებს დაეთმო.

შეხვედრა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაძლიერების ახალ პროექტზე

31 მარტი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ილია ვერძაძე, უმაღლესი საბჭოს წევრები - მარინე გვიანიძე, ცოტნე ანანიძე, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსა და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს უფროს მრჩეველს კეიკო ოზაკსა და ამავე სააგენტოს წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაძლიერების ახალ პროექტზე იმსჯელეს, რომელსაც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო ერთობლივად ახორციელებენ.

საპილოტე პროექტი, რომელიც ორსულთა და 5- წლამდე ბავშვთა მეთვალყურეობის სტრატეგიის, ასევე ორსულებისთვის და ახალშედა მშობლებისთვის სპეციალური სახელმძღვანელოს მომზადებას ითვალისწინებს, აჭარაში დაიწყება და სამი წლის განმავლობაში სრულიად საქართველოს მოიცავს. მედიცინის დოქტორის, პროფესორ ნინო ქაჯაიას განმარტებით, პროექტის მიზანი დედათა და ბავშვთა უწყვეტი მოვლის ხარისხის გაძლიერება და მშობელთა ცნობიერების ამაღლებაა.

საერთაშორისო ურთიერთობები

„ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) დელეგაციის ვიზიტი აჭარაში

28 მარტი, 2023 წელი

ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) დელეგაციის ვიზიტი აჭარაში, პრეზიდენტ დოქტორ ფრანც შაუსბერგერის მეთაურობით, კიდევ ერთი შესაძლებლობაა ვაჩვენოთ ევროპას თუ რას აკეთებს ჩვენი ქვეყანა, მისი კონკრეტული რეგიონი იმისათვის, რომ გავხდეთ ევროპული ოჯახის სრულფასოვანი და ღირსეული წევრი“, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ დელეგაციასთან გამართულ შეხვედრაზე.

შეხვედრაზე, რომელსაც უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ცოტნე ანანიძე და აპარატის უფროსი - ზურაბ ჭურკვეიძე ესწრებოდნენ, ყურადღება გამახვილდა სამომავლო თანამშრომლობის საკითხებსა და პერსპექტივებზე. სტუმრებმა დაათვალიერეს აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობა, გადაიღეს სამახსოვრო ფოტო და ჩანაწერი დატოვეს შთაბეჭდილებათა წიგნში.

ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის ((IRE) წარმომადგენლობითი დელეგაცია აჭარაში უმაღლესი საბჭოს მოწვევით იმყოფება. დაგეგმილია შეხვედრები აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელებთან და სხვა ოფიციალურ პირებთან. დელეგაცია ეწვევა ბსუ-სა და საზღვაო აკადემიას.

დავით გაბაიძის განცხადებით, გასული წლის ბოლოს აჭარის წარმომადგენლობითი დელეგაცია მონაწილეობდა IRE-ს გენერალურ ასამბლეაში, სადაც გაიმართა ჩვენი რეგიონის პრეზენტაცია და რამდენიმე დღის განმავლობაში ზალცბურგის მცხოვრებლები, ქალაქის სტუმრები, საინფორმაციო რგოლების მეშვეობით, ეცნობოდნენ საქართველოს.

როგორც სტუმრებმა აღნიშნეს, IRE მზადაა მხარი დაუჭიროს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, რათა ჩვენმა ქვეყანამ, მისმა რეგიონებმა შეძლონ ისარგებლონ იმ პროექტებითა და ბენეფიტებით, რომლებსაც ევროკავშირი სთავაზობს თავის წევრებს.

„საქართველო ევროპული ქვეყანაა, აჭარა - ევროპული რეგიონი და თქვენი მისწრაფება ევროინტეგრაციისკენ მიზანია, რომლის მიღწევაშიც, მზად ვართ დაგეხმაროთ ჩვენი გამოცდილებითა და შესაბამისი ბერკეტებით“, - აღნიშნა ფრანც შაუსბერგერმა.

ვრცელი ინფორმაცია ვიზიტის შესახებ იხილეთ დანართის სახით

აჭარის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, დავით გაბაიძის ხელმძღვანელობით, ბრანდენბურგში, სამმხრივ რეგიონულ კონფერენციას დაესწრო

20 მარტი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია - დავით გაბაიძის, ტიტე აროშიძის, ფრიდონ ფუტკარაძის, მარინე გვიანიძისა და ლაშა სირაბიძის შემადგენლობით, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბრანდენბურგის ლანდტაგისა და პოლონეთის ქვემო სილეზიის სავოევოდოს სეიმიკის წარმომადგენლებთან ერთად, სამმხრივ კონფერენციაში მონაწილეობდა.

კონფერენციაზე, მხარეებმა პარტნიორ რეგიონებთან თანამშრომლობის შედეგები შეაჯამეს, სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს და ხელი მოაწერეს სამმხრივი თანამშრომლობის განაცხადს.

კონფერენციის დაწყებამდე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს - დავით გაბაიძესა და დელეგაციის წევრებს ბრანდენბურგის მიწის პარლამენტის პრეზიდენტმა ულრიკე ლიდკემ უმასპინძლა.

დავით გაბაიძემ გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის, გერმანიის ჰესენის მიწის სატყეო სააგენტოსა და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის წარმომადგენლებს უმასპინძლა

24 მარტი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (KFW), გერმანიის ჰესენის მიწის სატყეო სააგენტოსა და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) წარმომადგენლებს შეხვდა.

დავით გაბაიძემ სტუმრებს მადლობა გადაუხადა ჩვენი ქვეყნის, რეგიონის მხარდაჭერისათვის, მიმდინარე, ასევე განხორციელებული პროექტებისათვის და საკანონმდებლო კუთხით თანამშრომლობაზე მზაობა გამოთქვა.

შეხვედრას უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე, აპარატის უფროსი ზურაბ ჭურკვეიძე, აჭარაში ტყის მდგრადი მართვის პროექტის ეროვნული კოორდინატორი ვახტანგ წულაძე და WWF-ის კავკასიის პროგრამის ოფისის დირექტორი გიორგი სანადირაძე ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან (KFW) თანამშრომლობით აჭარაში ტყის მდგრადი მართვის პროექტის განხორციელების საკითხებზე ისაუბრეს.

ახალი პროექტი, რომლის ბიუჯეტი 7,5 მილიონი ევროა, აჭარის სატყეო სააგენტოს მხარდაჭერასა და ტყით მდგრადი სარგებლობის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვას ისახავს მიზნად.

პროექტი გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროსა (BMZ) და KFW-ს მხარდაჭერით ხორციელდება.

აჭარის ოფიციალური დელეგაცია პოლონეთში ტურიზმისა და დასვენების მეთოთხმეტე საერთაშორისო გამოფენის გახსნას დაესწრო

5 მარტი, 2023 წელი

აჭარის ოფიციალური დელეგაცია პოლონეთში, ქალაქ ვროცლავში გამართულ ტურიზმისა და დასვენების მეთოთხმეტე საერთაშორისო გამოფენის გახსნის საზეიმო ღონისძიებას დაესწრო.
გამოფენაზე, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 220-ზე მეტი კომპანია მონაწილეობს, აჭარა, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული რეგიონი, საგანგებო და მრავალფეროვანი კუთხითაა წარმოდგენილი.

გამოფენის გახსნის ცერემონიას, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, უმაღლესი საბჭოს წევრები - ილია ვერძაძე, გიორგი მანველიძე, აპარატის უფროსი ზურაბ ჭურკვეიძე, ფინანსთა და ეკონომიკოს მინისტრთან - ჯაბა ფუტკარაძესთან და ქალაქ ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან ერთად ესწრებოდნენ.

დელეგაციის წევრებმა და ვიზიტორებმა დაათვალიერეს ბრანდენბურგის, საქსონიის, ქართული და პოლონური ტურისტული ორგანიზაციების სავაჭრო სტენდები.

გარდა ამისა, აჭარის დელეგაცია შეხვდა ვროცლავის მერს - იაცეკ სუტრიკს. მხარეებმა რეგიონებს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავებაზე და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. დაიგეგმა საპასუხო ვიზიტი აჭარაში.

დავით გაბაიძემ საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს აშოტ სმბატიანს უმასპინძლა

5 მარტი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს აშოტ სმბატიანს უმასპინძლა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე, მხარეებმა, ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებსა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს.

თვის სხვა აქტივობები, რომლებშიც უმაღლესი საბჭოს წევრები მონაწილეობდნენ:

- ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს 120 წლის იუბილე - 24.03.2023
- წიგნისა და უმაღლესი განათლების პირველი საერთაშორისო გამოფენა - 24.03.2023
- 23 მარტი 1921 წლის მარტში, ბათუმის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში დაღუპული ქართველი გმირები ხსოვნის დღეა - 23.03.2023
- 21 მარტი - ქართული ჟურნალისტიკის დღეა - 21.03.2023
- 21 მარტი - დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეა - 21.03.2023
- ფრიდონ ფუტკარაძე, ხელვაჩაურის კულტურის ცენტრში, დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო - 2.03.2023
- 1991 წლის 31 მარტი _ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმის დღე - 31.03.2023
- საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე (84) - 31.03.2023

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

sca.ge **chaerte.sca.ge**

ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) დელეგაციის ვიზიტი აჭარაში

28-31.03.2023

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ლუკა ასათიანის #37,
ბათუმი, აჭარა,
საქართველო

sca.ge / chaerte.sca.ge

0322285490

contact@sca.ge

ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის შესახებ

ევროპის რეგიონთა ინსტიტუტი (IRE) 2004 წელს ავსტრიაში, ქალაქ ზალცბურგში, დაარსდა, როგორც ეკონომიკური და სამეცნიერო დაწესებულება.

ამჟამად ინსტიტუტი აერთიანებს ევროპის 23 სახელმწიფოს 130-ზე მეტ რეგიონს, ქალაქსა თუ დაწესებულებას.

ევროპის რეგიონთა ინსტიტუტთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თანამშრომლობა 10 წელზე მეტს ითვლის.

აღნიშნულ ორგანიზაციაში აჭარა 2012 წელს გაწევრიანდა.

WWW.SCA.GE WWW.CHAERTE.SCA.GE HTTPS://WWW.FACEBOOK.COM/SUPREMECOUNCIL.GE CONTACT@SCA.GE 0322285490

ვიზიტის შესახებ:

28 მარტს, უმაღლესი საბჭოს მოწვევით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ოფიციალური ვიზიტით ეწვია ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) წარმომადგენლობითი დელეგაცია, პრეზიდენტ დოქტორ ფრანც შაუსბერგერის მეთაურობით.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უმასპინძლეს.

დელეგაციას შეხვდნენ:
აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე - თორნიკე რიჟვაძე, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.
დოქტორი ფრანც შაუსბერგერი ეწვია იუსტიციის სახლს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის საზღვაო აკადემიას.

დელეგაციის წევრები:

დოქტორი
ფრანც შაუსბერგერი
IRE პრეზიდენტი

დოქტორი
იოაჰიმ ფრიც
გენერალური მდივანი

დოქტორი
ჰელმუტ ფალსელჰნერი
IRE-ის დირექტორთა საბჭოს წევრი

სტეფან ჰებოკი
პოლიტიკის მრჩეველი

ვიზიტის მიზანი:

ვიზიტის მიზანია საქართველოს და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ ცნობადობის გაზრდა, ისტორიის, კულტურის, გეოპოლიტიკური მნიშვნელობის, ტურისტული პოტენციალის, ევროპული ღირებულებებისა და მისწრაფებების გაცნობა ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის წევრი ქვეყნებისა და რეგიონებისათვის.

ეს ვიზიტი არის კიდევ ერთი შესაძლებლობა ვაჩვენოთ პარტნიორებს რას აკეთებს საქართველო, რათა გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი.

შეხვედრები:

ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) დელეგაციას აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ უმასპინძლა.

დავით გაბაიძე:

„ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) დელეგაციის ვიზიტი აჭარაში, პრეზიდენტ დოქტორ ფრანც შაუსბერგერის მეთაურობით, კიდევ ერთი შესაძლებლობაა ვაჩვენოთ ევროპას თუ რას აკეთებს ჩვენი ქვეყანა, მისი კონკრეტული რეგიონი იმისათვის, რომ გავხდეთ ევროპული ოჯახის სრულფასოვანი და ღირსეული წევრი“.

ფრანც შაუსბერგერი:

„საქართველო ევროპული ქვეყანაა, აჭარა - ევროპული რეგიონი და თქვენი მისწრაფება ევროინტეგრაციისკენ მიზანია, რომლის მიღწევაშიც, მზად ვართ დაგეხმაროთ ჩვენი გამოცდილებითა და შესაბამისი ბერკეტებით“.

შეხვედრები:

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) პრეზიდენტს დოქტორ ფრანც შაუსბერგერს შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. დელეგაციის წევრებმა აღნიშნეს, რომ IRE მზადაა მხარი დაუჭიროს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, რათა საქართველომ შეძლოს ისარგებლოს იმ სიკეთეებით, რომლებსაც ევროკავშირი თავის წევრებს სთავაზობს.

შეხვედრები:

არჩილ ჩიქოვანმა ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) პრეზიდენტთან, დოქტორ ფრანც შაუსბერგერთან შეხვედრა გამართა.

ფრანც შაუსბერგერი:

„ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საქმეში. ამ გზაზე ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქებისა და რეგიონების როლი, ვინაიდან გაწევრიანების მიმართულებით არსებული გამოწვევები და ვალდებულებები, უპირველეს ყოვლისა, რეგიონებმა უნდა შეასრულონ და ისინი ახორციელებენ პრაქტიკულად ყველაფერს“.

შეხვედრები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) დელეგაციას, პრეზიდენტ - დოქტორ ფრანც შაუსბერგერის მეთაურობით, უმასპინძლა.

შეხვედრაზე ისაუბრეს სამინისტროს საქმიანობის სფეროების თაობაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუდენტების, მოსწავლეებისა და პედაგოგების ხელშეწყობას, საზღვარგარეთ სწავლისა და სტაჟირების დაფინანსებას, სხვადასხვა ევროპულ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის გამოცდილებას. ასევე, რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის კუთხით მიმდინარე აქტივობებს.

შეხვედრები:

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის პრეზიდენტთან ფრანც შაუსბერგერთან და დელეგაციის სხვა წევრებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. ჯაბა ფუტკარაძემ აჭარაში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა.
ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) მიზანია ევროპული რეგიონებისთვის თანამშრომლობის პლატფორმის შექმნა, ურთიერთობების გაღრმავება, ევროკავშირთან დაახლოების ხელშეწყობა და გამოცდილების გაზიარება.

შეხვედრები:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) დელეგაცია ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) პრეზიდენტმა, პროფესორმა ფრანც შაუსბერგერმა ლექცია წაიკითხა ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის, ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობის თემაზე და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი შეაფასა.
შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და მომხსენებელმა აქტუალურ შეკითხვებს უპასუხა.

მემორანდუმი:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ხალვაშმა და ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) პრეზიდენტმა, პროფესორმა ფრანც შაუსბერგერმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთობლივი საგანამანათლებლო-სამეცნიერო პროექტებისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელებას. მემორანდუმის ფარგლებში ჩატარდება ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები, საზაფხულო სკოლები, სემინარები და ტრენინგები.

NEWS

შეხვედრა უმაღლეს საბჭოში

http://sca.ge/geo/list/show/3525-evropis-regionta-institutis-IRE-delegatsiis-viziti-acharashi

https://ajaratv.ge/article/112273

https://www.tv25.ge/news/politics/acharas-ofitsialuri-vizitit-evropis-regionta-institutis-tsarmomadgenlobiti-delegatsia-etsvia

https://www.interpressnews.ge/ka/article/750194-davit-gabaize-evropis-regionta-institutis-ire-delegaciis-viziti-acharashi-kidev-erti-shesazleblobaa-evropas-vachvenot-ras-vaketebt-imisatvis-rom-evropuli-ojaxis-srulpasovani-cevri-gavxdet

შეხვედრა მთავრობაში

https://www.facebook.com/photo/?fbid=592972642856469&set=pcb.592974116189655

https://www.interpressnews.ge/ka/article/750293-tornike-rizhvaze-evropis-regionta-institutis-ire-prezidents-doktor-pranc-shausbergers-shexvda

https://ajaratv.ge/article/112339

https://www.tv25.ge/news/politics/tornike-rizhvadze-evropis-regionta-institutis-prezidents-doqtor-frants-shausbergers-shekhvda

https://imedinews.ge/ge/regioni/285683/tornike-rijvadze-evropis-regionta-institutis-ire-prezidents-doqtor-prants-shausbergers-shekhvda

NEWS

შეხვედრა ქ. ბათუმის მერთან

https://batumi.ge/ge/?page=shownews&id=7304

https://www.tv25.ge/news/politics/archil-chiqovanma-evropis-regionta-institutis-prezidenttan-shekhvedra-gamarta

შეხვედრა ფინანსთა მინისტრთან

http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=1183828&gid=5#.ZCdOD3ZBzIU

შეხვედრა განათლების მინისტრთან

https://www.facebook.com/photo/?fbid=598743448964750&set=pcb.598745262297902

შეხვედრა ბსუ-ში

https://www.bsu.edu.ge/main/page/18546/index.html

https://www.interpressnews.ge/ka/article/750685-batumis-shota-rustavelis-saxelmcipo-universitets-evropis-regionta-institutis-delegacia-ecvia

მემორანდუმის გაფორმება ბსუ-სთან

https://www.bsu.edu.ge/main/page/18547/index.html

ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) დელეგაციის ვიზიტი აჭარაში 31 მარტს დასრულდა

2023

საკონტაქტო:

ლუკა ასათიანის#37, ბათუმი, აჭარა, საქართველო

0322285490

sca.ge / chaerte.sca.ge

contact@sca.ge